

ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

წინამდებარე მეთოდოლოგია ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“. ა(ა)იპ კოლეჯში „პრესტიჟი“ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა, ასევე კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო /პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია ითვალისწინებს: პროგრამის განხორციელების მიდგომას, პროგრამის სპეციფიკას, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულ მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს, პროგრამაზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა რენტაბელობის ზღვარს და ა. შ.

მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაანგარიშება ხდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი, მიმდინარე წელს მისაღები და დამამთავრებელ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობის გაანგარიშების მიზნით, პროფესიულ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას აკლდება პროგრამაზე მიღების გამოცხადების დროისთვის ამ პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტების რაოდენობა და მიღებულ სხვაობას ემატება ამ პროგრამაზე სწავლის დაწყების დროისთვის დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა.

მუხლი 1. სასწავლო გარემო

1. პროგრამის განხორციელებისთვის არსებობს სამი ტიპის სასწავლო გარემო - A, B და C. დასაშვებია გარემოს სხვადასხვა მოდელი ერთ სირცემიც იყოს განთავსებული, მაგალითად, ერთ სივრცეში არსებობდეს ერთდროულად A და C; B და C ან A, B და C.

1.1. A ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, თეორიული მეცადინეობებისათვის, რომელიც არ საჭიროებს განსაკუთრებულ ტექნიკურ უზრუნველყოფას. ძირითადად, აღჭურვილია სტუდენტების სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი), დაფით, მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი) და ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით, საჭიროების შემთხვევაში, დემონსტრირების საშუალებით (მაგ. პროექტორი). შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა ადგილების (მაგიდების, სკამების) ნებისმიერი განლაგება სწავლების შერჩეული მეთოდის გამოსაყენებლად.

1.2. B ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო რაოდენობის კომპიუტერებით (1 პროფესიულ სტუდენტზე 1 კომპიუტერი/ნოუტბუქი), მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი) და ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით, ქსელური პრინტერთა და დემონსტრირების საშუალებით (მაგ. პროექტორი).

1.3. C ტიპის სასწავლო გარემო - სპეციფიკური სასწავლო გარემო შენობის შიგნით ან გარე სივრცე სპეციალობის დემონსტრირებისა და პრაქტიკისათვის აუცილებელი ძირითადი ტექნიკითა და ინვენტარით. ასევე, ინტეგრირებული ზოგადი მოდულებისათვის განკუთვნილი სივრცე - სასწავლო ლაბორატორიები. სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო აღჭურვილობა დადგენილია მოდულების/სასწავლო კურსების

შესაბამისად;

3. დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის/სასწავლო კურსების განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება, თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის/შეჭრილი გრაფიკის რეჟიმში.

4. საწარმოო პრაქტიკის მოდულები ითვალისწინებენ სტუდენტის დატვირთვის პრაქტიკის ობიექტზე, დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტებს შორის გაფორმებული შესაბამისი მემორანდუმების/ხელშეკრულების საფუძველზე.

5. სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლების რენტაბელური რაოდენობა.

მუხლი 2. კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელი გარემოებები

1. კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნას:

ა) A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;

ბ) B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობა.

გ) C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობა ან სასწავლო გარემოს ფართი, ან მოდულის/მოდულების განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა ან რამდენიმე საწარმოს შემთხვევაში - ადგილების ჯამი (დეალური სწავლების შემთხვევაში);

დ) პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ხანგრძლივობა;

ე) კოლეჯის/პარტნიორი კომპანიების ბაზაზე არსებული მატერიალური რესურსი;

ზ) მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების/ ინსტრუქტორების რაოდენობა;

თ) სწავლების ფორმა, პროგრამის განხორციელების მიდგომები.

2. IT პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის B სასწავლო გარემო წარმოადგენს C გარემოს;

3. ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს ერთერთ ძირითად ფაქტორს წარმოადგენს სასწავლო გარემოს ფართი. რამდენიმე გარემოს არსებობის შემთხვევაში ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება ყველაზე მცირე მოცულობის ფართის მიხედვით, შესაბამისი აღჭურვილობის გათვალისწინებით;

4. ერთ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა რაოდენობა განისაზღვრება პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობის შესაბამისად, ყველა გარემოს რესურსიდან უმცირესის გათვალისწინებით.

მუხლი 3. ადამიანური რესურსი

1. ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულია პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლების/ინსტრუქტორების რაოდენობა.

2. ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულია, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს უფლება სწავლება განახორციელოს სხვადასხვა ცვლებში, შრომის კოდექსის მოთხოვნების დაცვით. პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება, რომ ის გარდა საკონტაქტო საათებისა მონაწილეობს სხვა სამუშაოების შესრულებაშიც (მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, ვერიფიკაცია, სტუდენტთა

ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი, პროფესიული განვითარება, ასევე მონაწილეობა სამუშაო და ადმინისტრაციულ შეხვედრებში და ზოგჯერ - გარკვეული ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებაც). შესაძლებელია ის იმავდროულად სხვა პროგრამებზეც ასწავლიდეს.

3. მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი საკმარისი უნდა იყოს ობიექტზე განაწილებული პროფესიული სტუდენტებისათვის/მსმენელებისთვის;

მუხლი 4. პროგრამის განხორციელების მიდგომა

1. დუალურ პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია დაწესებულებასა და საწარმოს (პარტნიორს) შორის არსებული ხელშეკრულების პირობები - საწარმოში მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა.
2. დუალურ პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების გადანაწილება კოლეჯსა და საწარმოს (პარტნიორს) შორის ზრდის შესაბამის გარემოთა გამტარიანობას.
3. პროგრამაში საწარმოო პრაქტიკის მოდულის არსებობის შემთხვევაში გათვალისწინებულია კომპანიებთან თანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში ობიექტების მიერ მისაღები პროფესიული სტუდენტების/მსმენელების რაოდენობა.
4. ინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში გათვალისწინებულია, რომ სასწავლო გარემოს გამტარიანობა იზრდება პროფესიული მოდულებისათვის პროგრამაში ზოგადი მოდულების ინტეგრირებისა და სწავლის პერიოდის ხანგრძლივობიდან გამომდინარე.

მუხლი 5. კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა საერთო ზღვრული რაოდენობის გაანგარიშება

1. კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა საერთო ზღვრული რაოდენობა გაიანგარიშება კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებზე დადგენილი სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის ჯამით.
2. ამ წესით დადგენილი მეთოდოლოგიით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულება, ასახავს შესაბამის განაცხადში და წარუდგენს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

მუხლი 6. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დამატებითი ფაქტორები

1. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულია პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით დადგენილი რენტაბელობის ზღვარი.
2. ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია, რომ კოლეჯი მუშაობს რამდენიმე ცვლაში და შეჭრილი გრაფიკითაც.
3. ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია პროგრამის ხანგრძლივობა და სასწავლო გეგმის სპეციფიკა.
4. პროფესიულ საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა ან შემცირება განხორციელდება წინამდებარე მეთოდოლოგიის გათვალისწინებით.